შეთანხმება
№270 ხელშეკრულებაში (CMR150201720) ცვლილების შეტანის
შესახებ

ქ. ქობულეთი „31“ მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მშენებელი“, (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნოდარ ბერიძის სახით, შევთანხმდით შემდეგზე:

1. ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და მეორეს მხრივ, შპს „მშენებლი“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №270 ხელშეკრულების (CMR150201720) კონტროლის ჯგუფის (2015 წლის 3 დეკემბრის №01-06/895 ბრძანება) 2016 წლის 30 მარტის მოხსენებითი ბარათის (შემოს.№1746/-01, 30.03.2016წ. საფუძველზე, 2015 წლის 24 ნოემბერს ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და მეორეს მხრივ, შპს „მშენებელი“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №270 ხელშეკრულების (CMR150201720) მე-9 მუხლის შესაბამისად, შევიდეს ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილება:

ა) შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-13 მუხლში ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე. გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის და მე-10 მუხლის 10.4 პუნქტის „10.4.10“ ქვეპუნქტის მოთხოვნებისა, აღნიშნული პუნქტების მოქმედების ვადა განისაზღვროს საგარანტიო პერიოდისათვის განსაზღვრული ვადით.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად და წარმოადგენს 2015 წლის 24 ნოემბრის ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და მეორეს მხრივ, შპს „მშენებელი“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №270 ხელშეკრულების (CMR150201720) განუყოფელ ნაწილს, რაზედაც ხელს ვაწერთ.

4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე შეთანხმება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი
გამგებელი სულხან ევგენიძე

„მიმწოდებელი“ – შპს „მშენებელი“

დირექტორი ნოდარ ბერიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ სულხან ევგენიძეს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015წლის

3 დეკემბრის N01-06 895 ბრძანებით შექმნილი,

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N270 ხელშეკრულების

შესრულების კონტროლის(ინსპექტირების)მიზნით

კონტროლის(ინსპექტირების) ჯგუფის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო სულხან,

მოგახსენებთ რომ, 2015 წლის 24 ნოემბრის N270 ხელშეკრულებით შ.პ.ს. ,,მშენებელ"-მა აიღო ვალდებულება შეასრულოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ჩაისუბანში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოთხი ოჯახის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სამუშაოები.მშენებლობის ვადად განსაზღვრული იყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 70(სამოცდაათი) კალენდარული დღე (1 თებერვალი), ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 31 მარტის ჩათვლით.

დღეის მდგომარეობით შ.პ.ს. ,,მშენებელ"-მა ვერ უზრუნველყო მოცემულ ვადებში სამუშაოების დასრულება,რაზედაც ერიცხება პირგასამტეხლო.

ინსპექტირების ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია ხელშეკრულების მოქმედების ვადის გადაწევა 3 თვით და განისაზღვროს 2016 წლის 30 ივნისით.

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია გადაუგზავნოთ ადმინისტრაციულ სამსახურს ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების მოსამზადებლად.

ჯგუფის ხელმძღვანელი ვახტანგ კაკალაძე

წევრი ნიკოლოზ აფხაზავა

30 მარტი 2016წელი.

ბათუმის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მიმღები № 1746-01
„30" 03 2016
ფურცელი 1 ძრიელი 1 დანართი